

## სკოპინგის დასკვნა N 35

**საქმიანობის დასახელება:** ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სს „აჭარის წყლის ალიანსი“;

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 01.04.2022;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ:** არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოტონი“;

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სს „აჭარის წყლის ალიანსის“ მიერ წარმოდგენილ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

ქედის მუნიციპალიტეტში, სს „აჭარის წყლის ალიანსის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2022 წლის 17 იანვარს გაცემული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (N2-19), გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე დაქვემდებარების შესახებ და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად სკოპინგის პროცედურის გავლა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაბა ქედაში არსებული საკანალიზაციო ქსელი და გამწმენდი ნაგებობები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. დაზიანებულია საკანალიზაციო მილსადენები და მაღალია დაბინძურებული საკანალიზაციო წყლების უსისტემოდ გავრცელების, მათ შორის გრუნტებში ინფილტრაციის, სასმელ წყლებთან შერევის და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბინძურების ალბათობა, არსებული გამწმენდი ნაგებობებიდან პრაქტიკულად გაუწმენდავი საკანალიზაციო წყლები ჩაედინება მდ. აჭარისწყალში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ერთი საერთო გამწმენდი ნაგებობისა და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში. გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაბა ქედაში, მდ. აჭარისწყლის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე (ს/კ - 21.03.33.494). საპროექტო ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X – 744866; Y – 4609427. საპროექტო გამწმენდი ნაგებობის შერჩეული ლოკაციიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 35-40 მ მანძილის დაშორებით. ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. აჭარისწყალი დაშორებულია დაახლოებით 60 მ-ით. საპროექტო ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთით, მდინარის მხარეს, შემოსაზღვრულია ნაპირდამცავი ნაგებობით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, არსებული გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციის ალტერნატივა,

გამწმენდი ნაგებობის ადგილმდებარეობის ალტერნატივები, ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური ალტერნატივები. უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაჯანსაღების და დადებითი გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით. არსებული გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციის ალტერნატივა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად, ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტებიდან (I – მდ. აჭარისწყლის მარცხენა ნაპირი - ს/კ 21.03.33.494; II – მდ. აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირი - ს/კ 21.03.33.433 ), დამაკმაყოფილებელი რელიეფური, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატიულ ვარიანტს. ტექნოლოგიური ალტერნატივებიდან (I- ინდივიდუალური გამწმენდი სისტემები; II- ფიტო გაწმენდა - წყლის გაწმენდა ხელოვნურ ტბორებში; III - ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა), უპირატესობა მიენიჭა III - ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ალტერნატივას, კერძოდ შეირჩა მბრუნავი ბიოლოგიური კონტაქტორების (RBC) ტექნოლოგია. მნიშვნელოვანია გზის ეტაპზე დაზუსტდეს ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილის ალტერნატივების შესახებ, ხოლო ალტერნატიული ლოკაციების შედარებითი ანალიზის, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნეს შერჩეული ადგილმდებარეობის დეტალური დასაზუსტება.

საპროექტო (RBC ტექნოლოგიის) ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: სატუმბი სადგური (4 ერთეული); წინასწარი გამწმენდი სისტემა (სკრინინგის სისტემა); პირველადი სალექარი (2 ერთეული); მბრუნავ ბიოლოგიური კონტაქტორი (4 ერთეული); მეორადი სალექარი (2 ერთეული); ორი ტიპის სალამე მოედანი - ერთი (8 მოედნით) გამწმენდ ნაგებობაზე წარმოქმნილი ლამის და მეორე (4 მოედნით) მოსახლეობის სეპტიკური ავზების/ჭების გასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ლამის გამოშრობა-გაუწყლოებისთვის. გამწმენდი ნაგებობის შემადგენელი ძირითადი კომპონენტების (გარდა სალამე მოედნებისა და სატუმბი სადგურისა) განთავსება დაგეგმილია დახურულ შენობაში.

საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს ჩამდინარე წყლების გაწმენდას ოთხსაფეხურიანი სქემით: წინასწარი გაწმენდა (სკრინინგი); პირველადი სალექარი; მბრუნავი ბიოლოგიური კონტაქტორები; მეორადი სალექარი. საკანალიზაციო სისტემიდან გამწმენდ ნაგებობას წყალი მიეწოდება სატუმბი სადგურის მეშვეობით. პირველ რიგში წყალი მიეწოდება წინასწარი გაწმენდის-ავტომატური სკრინინგის სისტემას. სკრინინგის მეშვეობით ჩამდინარე წყლებისგან გამოცალკევებული მყარი ნარჩენები შეგროვდება სკრინინგის კონტეინერში (უახლოეს ნაგავსაყრელზე განთავსებამდე), სკრინინგის გავლის შემდგომ წყალი ხვდება პირველად სალექარებში, სადაც მიმდინარეობს წყლის გრავიტაციული გაწმენდა. შემდეგ ეტაპზე წყალი გადაედინება მბრუნავ ბიოლოგიურ კონტაქტორებში (RBC), სადაც მიმდინარეობს წყლის ბიოლოგიური გაწმენდა - მიკროორგანიზმების, ჟანგბადის სათანადო დონის და სათანადო ტემპერატურის საშუალებით. ბიოლოგიური კონტაქტორებიდან წყალი დამატებით გაწმენდას გადის მეორად სალექარებში. გაწმენდის პროცესის დასრულების შემდგომ წყალი გადადის გამსვლელ კამერაში. გაწმენდილი წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. აჭარისწყალში (წყალჩაშვების GPS კოორდინატებია: X – 744914; Y – 4609491. ). საპროექტო გამწმენდი ნაგებობა გათვალისწინებულია 2000 მოსახლეზე.

დაგეგმილი საქმიანობის ექსპლუატაციის/ტექნოლოგიური პროცესის თანმდევია ლამის წარმოქმნა, რომელიც სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, წარმოიქმნება სალექარებში, ბიოლოგიურ კონტაქტორებში (დაახლოებით 42 მ<sup>3</sup>/წელიწადში) და საკანალიზაციო

სისტემის შემადგენელ სეპტიკურ ავზებში/ჭებში (დაახლოებით 6,5 მ<sup>3</sup>/წელიწადში). ტექნოლოგიური პროცესში წარმოქმნილი ლამის განთავსება გაწმენდა-გაუწყლოება გათვალისწინებულია შესაბამის სალამე მოედნებზე. სალამე მოედნების საერთო ფართობი იქნება - 934 მ<sup>2</sup>, მაქსიმალური ტევადობა - 233,5 მ<sup>3</sup>. ლამის გაწმენდა-გაუწყლოება მოიცავს: დეკანტაციის, ფილტრაციის და აორთქლების პროცესებს. ლამის დეკანტაცია ხდება მიმდებ კამერაში. აღნიშნულ ეტაპზე ლამიდან მოცილებული წყალი (2-20%) გადადის გამწმენდი ნაგებობის მიმდებ კამერაში. დეკანტაციის შემდგომ ლამი გადანაწილდება საშრობ მოედნებზე, რომელიც შედგება ფილტრების და დახვრეტილი ზედაპირის მქონე მილებისგან, სითხის დასაწრეტად (30 - 70 %). ფილტრაციის პროცესი სრულდება ლამიდან წარმოქმნილი სითხის ე.წ ქვიშა-ხრემის ფილტრში გავლით. დარჩენილი თხევადი ნაწილი დაბრუნდება გამწმენდ ნაგებობაში. აორთქლების პროცესი მექანიკურად ამოშრობილ ლამს დამატებით აცილებს წყალს. ლამს გამოშრობისა და სტაბილიზაციის შემდგომ ჩაუტარდება ლაბორატორიული ანალიზი. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ლამის არასახიფათო ნარჩენად იდენტიფიცირების შემთხვევაში ლამი გატანილი იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ან გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ლამის გატანის საჭიროება ექსპლუატაციაში გაშვებიდან 5 წელიწადში დადგება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემის სრული განახლება და არსებული კანალიზაციის ქსელის ნაწილის შეცვლა ან სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. ზემოხსენებული ქსელი დაუკავშირდება წყალმომარაგების საპროექტო არეალში მცხოვრები მოსახლეობის 90-95%, ხოლო დანარჩენი ბენეფიციარებისთვის მოეწყობა ინდივიდუალური სეპტიკური ავზები/ჭები. ჭებიდან და სეპტიკური ავზებიდან ლამის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება 5 მ<sup>3</sup> ტევადობის ვაკუუმური საასენიზაციო მანქანა. საკანალიზაციო ჭების გასუფთავება მოხდება თვეში საშუალოდ 2-ჯერ. საპროექტო საკანალიზაციო ქსელის საერთო სიგრძე იქნება - 4,04 კმ და ჩალაგდება გრუნტში 2 მ სიღრმემდე. ჭების რაოდენობა იქნება - 226 (დიამეტრებით - 300, 400, 600 , 1 000 მმ). საკანალიზაციო მილსადენები და ჭები განლაგდება არსებული გზების და ქუჩების გასწვრივ. საკანალიზაციო ქსელის ფარგლებში გათვალისწინებულია სამი სატუმბი სადგურის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის სამშენებლო სამუშაოები შესრულდება დაახლოებით 1,5 წლის განმავლობაში. საპროექტო ნაკვეთის ფარგლებში მოეწყობა მცირე ზომის სასაწყობო მეურნეობები. ინერტული სამშენებლო მასალების შემოტანა დაგეგმილია რეგიონში მოქმედი კარიერებიდან და სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროებიდან. ტერიტორიამდე მიდის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არსებული საავტომობილო გზა. გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები მოიცავს - საპროექტო ნაგებობის საძირკვლების მოწყობას; სალამე მოედნებისთვის შესაბამისი გეომემბრანის მოწყობას; საპროექტო ნაგებობების მოწყობას; სარეკულტივაციო და კეთილმოწყობის სამუშაოებს. საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები მოიცავს - ძველი საკანალიზაციო ქსელისა და ჭების დემონტაჟს; მიწის სამუშაოებს და წყალარინების ქსელის მილების ჩალაგებას; სახლების დაერთებას; სარეკულტივაციო და კეთილმოწყობის სამუშაოებს.

მშენებლობის ეტაპზე ტექნიკური წყლის გამოყენება მოხდება მშრალი და ქარიანი ამინდის პირობებში, მტვრის გამოყოფის თავიდან აცილების მიზნით. სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება გათვალისწინებულია ახლომდებარე სოფლების წყალმომარაგების ქსელიდან ან/და გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი. სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება მცირე მოცულობის საასენიზაციო რეზერვუარში, რომელიც

გატანილი იქნება უახლოეს საკანალიზაციო ქსელში. ექსპლუატაციის ეტაპზე გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება მოხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სამეურნეო-ფეკალური წყლები დაერთებული იქნება საპროექტო გამწმენდ ნაგებობასთან. სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების, მათი შესაძლო დაბინძურების და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ასევე ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისთვის, შემცირებისთვის ან/და შერბილებისათვის.

მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია მტვრის გავრცელება. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. მშენებლობის ეტაპზე ზემოქმედების დაბალი მნიშვნელობის მიუხედავად, სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები. ექსპლუატაციის ეტაპი, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითადად დაკავშირებული იქნება უსიამოვნო სუნის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან, რაც ძირითადად ლამის მართვის პროცესს უკავშირდება. სკოპინგის ანგარიშში მითითებულია უსიამოვნო სუნის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის: ტერიტორიის პერიმეტრზე ხე-მცენარეების დარგვა) სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზშ-ის ეტაპზე მოხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფის და გაბნევის გაანგარიშება, მათ შორის უსიამოვნო სუნის გამომწვევი ნივთიერებებისთვის (გოგირდწყალბადი და სხვ).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საკვლევ უბანზე მეწყრული ან სხვა საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები არ გამოვლენილა. მდინარის სიახლოვის მიუხედავად, შერჩეულ ტერიტორიაზე საშიში ჰიდროლოგიური მოვლენების ზემოქმედების ალბათობა მინიმალურია. ამასთან, აღსანიშნავია რომ საპროექტო ტერიტორიასთან მდინარის გასწვრივ მოწყობილია ნაპირდამცავი ნაგებობა.

დოკუმენტის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. საკანალიზაციო ქსელის დერეფნებში (ძველი ქსელის ტერიტორია) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის წინასწარ მოხსნა-შენახვა გათვალისწინებული არ არის. ნიადაგის/გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება ძირითადად შეიძლება დაკავშირებული იყოს გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან.

პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ზემოქმედება ფლორისტულ გარემოზე მოსალოდნელი არ არის. კერძოდ, სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად - გამწმენდი ნაგებობის განთავსების და მიმდებარე ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უკავია ქვა-ლორღს და წარმოდგენილი არ არის მცენარეული საფარი. ამასთან, საკანალიზაციო ქსელი ძირითადად მოეწყობა დაბის გზების გასწვრივ.

დაგეგმილი საქმიანობის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება სხვადასხვა სახის ნარჩენები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენების გატანა გათვალისწინებულია მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები გადაეცემა ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მოხსნილი გრუნტის უმეტესი ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისთვის, ხოლო ნაწილი გატანილი იქნება რეგიონში არსებულ ნაგავსაყრელზე. ექსპლუატაციის ეტაპზე

წარმოიქმნება დაბინძურებული ლამი, რომელიც ტექნოლოგიური ციკლის მუდმივი თანმდევია და საჭიროებს სათანადო გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების დაგეგმვას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. განცხადებები განთავსებული იქნა ასევე დაბა ქედში, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 10 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ა/ო „ეკოტონის“, სს „აჭარის წყლის ალიანსის“, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვის ფარგლებში დაფიქსირებული შეკითხვები/მოსაზრებები ეხებოდა დაგეგმილი საქმიანობისთვის შერჩეულ საპროექტო ტერიტორიას. მერიის წარმომადგენლის განმარტებით, ქედის მუნიციპალიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს პროექტის მეორე ალტერნატიულ ტერიტორიაზე განხორციელებას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით, ასევე წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ქედის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის განხორციელების ადგილად განხილული იქნეს მდინარე აჭარის წყლის მარჯვენა სანაპიროზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც სკოპინგის ანგარიშის მიხედვით გამწმენდი ნაგებობის ადგილმდებარეობის II ალტერნატივას წარმოადგენს.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს:** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ,

რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;

4. **გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- პროექტის საჭიროების დასაბუთება;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, საკანალიზაციო ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის SHP ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
- საკანალიზაციო სისტემის (სეპტიკური ავზების/საკანალიზაციო ჭების ჩათვლით) სქემა და საპროექტო გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- საპროექტო ტერიტორიიდან მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. აჭარისწყალი);
- ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები, ასევე უმოქმედობის ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივები, შესაბამისი დასაბუთებით. **დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები. თუ საქმიანობის განხორციელება შერჩეულ ტერიტორიაზე არ იქნება სათანადოდ დასაბუთებული გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით, განხილული უნდა იყოს ალტერნატიულ ტერიტორიაზე ობიექტის განთავსების საკითხი;**
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, მათ შორის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის დეტალური აღწერა;
- დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების, საპროექტო უბნების, დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების, მათ შორის საკანალიზაციო მილსადენების (სიგრძე, დიამეტრი, ტიპი) და ჭების/სეპტიკური ავზების (პარამეტრები, ადგილმდებარეობა, რაოდენობა, მოცულობა) დეტალური აღწერა;
- ინფორმაცია საკანალიზაციო სეპტიკური ავზების/ჭების განტვირთვის პერიოდისა და პირობების შესახებ;
- საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის პარამეტრების შესახებ დეტალური ინფორმაცია, საკანალიზაციო ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის სქემატური ნახაზების მითითებით;
- საკანალიზაციო სისტემის (ცენტრალური, შიდა საკანალიზაციო ქსელების) სიგრძე და მთლიანი ქსელის ფართობი;
- საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის სიმძლავრის, წარმადობის შესახებ **დაზუსტებული ინფორმაცია;**
- საკანალიზაციო წყლების შეკრების, გამწმენდ ნაგებობაზე მიწოდების და ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური სქემის/ციკლის შესახებ ინფორმაცია. საპროექტო გამწმენდი სისტემის ტექნოლოგიური სქემა/ციკლი წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი თანმიმდევრობით, ჩამდინარე წყლის მიღებიდან - მის გაწმენდამდე;

- ინფორმაცია ჩამდინარე წყლების გაწმენდის შერჩეული ტექნოლოგიის შესახებ. მათ შორის: შერჩეული ტექნოლოგიის (მბრუნავი ბიოლოგიური კონტაქტორები (RBC)) დეტალური აღწერა; შერჩეული მეთოდის ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით;
- ჩამდინარე წყლებისგან დამაბინძურებელი ნივთიერებების მოცილების ბიოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა;
- ინფორმაცია გამწმენდ ნაგებობამდე და ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე მილსადენის გაყვანის შესახებ, (მილის პარამეტრები/ტექნიკური მახასიათებლები) განთავსების ადგილისა და მეთოდის მითითებით. ამასთან, გამწმენდ ნაგებობამდე და გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე მილსადენის გაყვანის სქემა, Shp ფაილებთან ერთად;
- ინფორმაცია საკანალიზაციო სისტემით სხვადასხვა მიწისქვეშა/მიწისზედა საკომუნიკაციო ქსელების გადაკვეთისა და შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ;
- გამწმენდი ნაგებობიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- დაბინძურებული ჩამდინარე წყლის სავარაუდო შემადგენლობა - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ (ჩამდინარე წყლის ჩაშვების პარამეტრები), შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით;
- დაბა ქედის მოსახლეობის ზრდისა და შესაბამისად ჩამდინარე წყლების რაოდენობის ზრდის დინამიკის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მითითებით;
- პროექტის მშენებლობის ეტაპზე არსებული საკანალიზაციო-გამწმენდი სისტემის შეფერხებისა და შესაბამისი შედეგების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სათანადო ღონისძიებების მითითებით;
- საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, საბოლოო მართვის ღონისძიებების მითითებით, მათ შორის:
  - წარმოქმნილი ლამის კლასიფიკაციისა და ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შესახებ ინფორმაცია;
  - დროებითი დასაწყობების ტერიტორიის-სალამე მოედნ(ებ)ის დეტალური აღწერა (მათ შორის - ფართობი, GPS კოორდინატები, მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლთან და სხვ);
  - ინფორმაცია ლამის გაუწყლოვნების, დასტაბილურების (დეკანტაციის, ფილტრაციის, აორთქლება), შესქელებისა და საბოლოო განთავსების ადგილის შესახებ;
  - ლამის ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია;
  - ალტერნატიული ვარიანტები საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ლამის შემდგომი მართვის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების, ნორმების და მოთხოვნების გათვალისწინებით;
  - წარმოქმნილი ლამის ნაგავსაყრელზე გატანის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს: ინფორმაცია თუ რომელ ნაგავსაყრელზე და რა პირობებით გეგმავს კომპანია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ლამის განთავსებას, ასევე ინფორმაცია ლამის ლაბორატორიული კვლევის და შედეგების შესახებ, ამასთან ინფორმაცია/დოკუმენტაცია ნაგავსაყრელის ოპერატორ კომპანიასთან საკითხის შეთანხმების შესახებ;

- ლამის სასუქად გამოყენების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს: დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ტიპის ლამის სასუქად გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკისა და შედეგების შესახებ (საინფ. წყაროს მითითებით); ინფორმაცია ლამის სასუქად გამოყენების პირობებისა და სტანდარტების შესახებ და სხვ.
- გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სუნის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სუნის გავრცელების წყაროების მითითებით;
- ამასთან, ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. მათ შორის გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, ჩამდინარე წყლის მაქსიმალური მოდინების დროს, ავარიული სიტუაციის მართვის საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ამასთან, **დაზუსტებული ინფორმაცია** ჩამდინარე წყლის მაქსიმალური მოდინების დროს მისი მართვის საკითხების შესახებ;
- პროექტის მოწყობის და ექსპლუატაციის პერიოდში წყალმომარაგება-წყალარინების საკითხების შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის საპროექტო გამწმენდი ნაგებობის პერიმეტრზე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და მათი მართვის შესახებ;
- ექსპლუატაციის ეტაპზე საკანალიზაციო წყლებში სანიაღვრე წყლების შერევისა და საკანალიზაციო-გამწმენდ სისტემაში მოხვედრის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, მათ შორის:
  - ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსაწყობი სასაწყობო მეურნეობების შესახებ (მოწყობის ადგილის კოორდინატების მითითებით), SHP ფაილებთან ერთად;
  - ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
  - პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მიწის სამუშაოების აღწერა;
  - სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
  - მცენარეული საფარისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
  - ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დროებითი დასაწყობების ადგილის (GPS) და დასაწყობების შესაბამისი პირობების შესახებ ინფორმაცია;
  - ინფორმაცია ფუჭი ქანების წარმოქმნის შესახებ, როგორც საკანალიზაციო ქსელის, ისე გამწმენდი ნაგებობის მოწყობის ეტაპზე, ფუჭი ქანების მოცულობის მითითებით; მართვის საკითხების აღწერა, მათ შორის: განთავსების (დროებითი, მუდმივი - GPS) ადგილების შესახებ ინფორმაცია.
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (ლამი და სხვ.) შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად ნარჩენების კოდების, დასახელებების, მოსალოდნელი რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;



- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის (დასახლებული პუნქტის მიმართულებით) შესაძლებლობის შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

**4.1. საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ტერიტორიაზე ჩატარებული გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს:**

- საპროექტო (საკანალიზაციო სისტემის, გამწმენდი ნაგებობის განთავსების) არეალის გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა: რელიეფი (გეომორფოლოგია), გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა, სეისმური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები;
- ინფორმაცია მდინარე აჭარისწყლის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ;
- საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება, საშიში გეოდინამიკური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) აღწერა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

**5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება მათ შორის:**

- ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის: მოცემული უნდა იყოს მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები; სუნის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები; ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;

- ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;
- ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე და მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, მდ. აჭარისწყლის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის წარმოების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის საკითხები, შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები (ნარჩენების მართვის გეგმა);
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (მათ შორის წყლის გარემოზე), მიმდებარედ არსებული და საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით, მათ შორის ინფორმაცია:
  - გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე, მცენარეებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელ ნუსხით“ დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე. ამასთან, ინფორმაცია შესაძლო ზემოქმედების სახეების შეფასების და მოსალოდნელი ზემოქმედების შესაბამისი შემარბილებელი, თავიდან აცილების, ასევე საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ;
  - ნაგებობის და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, წყლის შესაძლო დაბინძურებით და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება მდინარის (მდ. აჭარისწყალი) იქთიოფაუნაზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
  - შემუშავდეს მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი.
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე (შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტის, ისტორიკოსის, არქეოლოგის ჩართულობით). კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, აღწერა და შედეგების შესწავლა;

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ტრანსპორტირებით, მათ შორის საასენიზაციო ტრანსპორტის გადაადგილებით, მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ასევე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სატრანსპორტო ნაკადებზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა. მათ შორის გამწმენდი ნაგებობის ავარიული გაჩერების შემთხვევაში მდინარის დაბინძურების პრევენციის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი რეკომენდაციები.

6. **საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, წარმოდგენილი წერილის თანახმად: მუნიციპალიტეტის მერიას გამწმენდი ნაგებობის განთავსებისთვის შერჩეული საპროექტო ტერიტორიის მოსაწესრიგებლად დახარჯული აქვს ბევრი რესურსი და ამ ტერიტორიაზე სამომავლოდ გეგმავს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ამასთან, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ დაბის მოსახლეობის უმრავლესობა გამწმენდი ნაგებობის მარცხენა სანაპიროზე განთავსების წინააღმდეგაა. **აღნიშნულიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს პროექტის განხორციელების ადგილად განხილული იქნეს დაბა ქედაში, მდინარე აჭარის წყლის მარჯვენა სანაპიროზე არსებული 3713 მ<sup>2</sup> არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ 21.03.33.433), რომელიც სკოპინგის ანგარიშის მიხედვით გამწმენდი ნაგებობის ადგილმდებარეობის II ალტერნატივას წარმოადგენს. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:**
- გზშ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი

პოზიციების, დამოკიდებულების და აზრის გათვალისწინების ამსახველი ინფორმაცია;

- სკოპინგის ანგარიშში მოცემული გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ნაკვეთის საკადასტრო კოდი არ შეესაბამება დაბა ქედაში განსათავსებელი გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორიას, რაც საჭიროებს დაზუსტებას. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას, როგორც საპროექტო ასევე ალტერნატიული ვარიანტის საკადასტრო კოდები და GIS/GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ავარიული სიტუაციების შემთხვევაში (როგორცაა მაგ. ძალიან ინტენსიური საკანალიზაციო ნაკადი) წყალი გადამისამართდება პირდაპირ წყალჩაშვების წერტილისკენ, გამწმენდი ნაგებობების სტრუქტურული ობიექტების გვერდის ავლით. **მნიშვნელოვანია, გზმ-ის ანგარიშში, ავარიული სიტუაციებს დროს დაბინძურებული წყლის მდინარეში მოხვედრის პრევენციის მიზნით, განხილული იქნას გამათანაბრებელი ავზის მოწყობისა და ავზიდან დაბინძურებული წყლის გამწმენდ სისტემაში დაბრუნების შესაძლებლობის საკითხი;**
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პერსპექტივაში შესაძლებელია საპროექტო გამწმენდს დაემატოს დამატებითი კონტაქტორები. **დაზუსტებას და გზმ-ის ეტაპზე დეტალურ განმარტებას საჭიროებს ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შესაძლო გაზრდის/გაფართოების, მათ შორის ახალი კონტაქტორის დამატების შესახებ;**
- გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია პირველადი გაწმენდის-სკრინინგის ეტაპზე (შესაბამის კონტეინერში) დაგროვილი ნარჩენების და მათი ნაგავსაყრელზე განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ ინფორმაცია;
- გამწმენდ სისტემაში მიმდინარე ანაერობული პროცესების შესახებ წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი წინადადებები, რაც საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ აღნიშნულია, რომ - სალექარში მიმდინარე ანაერობული პროცესების შედეგად წარმოქმნილი ბიოგაზი შეგროვდება და გამოიყოფა შენობის გარეთ ვენტილატორით. ამასთან, მითითებულია რომ შერჩეულია ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგია, სადაც არ მიმდინარეობს უსიამოვნო სუნის გამომწვევი ანაერობული პროცესები;
- გამწმენდი ნაგებობიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე დაშორებისა და პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით **გზმ-ის ეტაპზე საჭიროა დეტალურად იქნეს წარმოდგენილი** გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სუნის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების და ამ ზემოქმედების პრევენციის/შერბილებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დასაბუთებით;
- საქმიანობის სპეციფიკის, მათ შორის არასასიამოვნო სუნის გავრცელების რისკების გათვალისწინებით განხილული უნდა იქნეს სალამე მოედნიდან სტაბილიზირებული ლამის შეძლებისდაგვარად მოკლე პერიოდულობით (ხუთ წელზე ნაკლებ დროში) გატანის შესაძლებლობის საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ოპტიმალური გამრობის მისაღწევად, მოედნის თითოეული უჯრედი მიიღებს 130 მმ სისქის ლამს განსაზღვრული დროის თანმიმდევრობით. გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ლამის მოედნებზე განთავსებამდე დაყოვნების საკითხი, დაყოვნების ხანგრძლივობის მითითებით;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მდინარის კალაპოტის სიახლოვიდან გამომდინარე, მიწის სამუშაოების პროცესში (სადირკვლების მოწყობის დროს) არსებობს გრუნტის წყლების შემოდინების ალბათობა. გზმ-ის ეტაპზე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს დეტალური ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე ტერიტორიაზე წყლის შემოდინების შესახებ, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
  - სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ფილტრაციის პროცესი სრულდება ლამიდან წარმოქმნილი სითხის ე.წ ქვიშა-ხრემის ფილტრში გავლით. დაზუსტებას საჭიროებს ქვიშა-ხრემის ფილტრის/ფენის პერიოდული გამოცვლის და შემდგომი მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია;
  - წარმოდგენილ ანგარიშში ყურადღება დათმობილი აქვს მდ. აჭარისწყლის ჰიდროგრაფიულ პარამეტრებს, თუმცა უშუალოდ მდინარის ჩამონადენის მახასიათებლებიდან მოხსენიებულია მხოლოდ 90%-იანი უზრუნველყოფის საშუალო ხარჯის სიდიდე (სოფ. ქედასთან). გზმ-ის ანგარიშში სიტუაციური ანალიზის სახით წარმოდგენილი უნდა იქნას ჰიდროლოგიური პარამეტრების უფრო ფართო სპექტრი (აღნიშნული განსაკუთრებით ეხება მეყენის პერიოდებში აბსოლუტური მინიმუმების მაჩვენებლებს);
  - ჰიდროლოგიური რისკების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებული საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური სტანდარტების ბაზაზე;
  - დაბა ქედის ტერიტორიაზე ფიქსირდება ორი არამასშტაბური მეწყრული სხეული, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის ეტაპზე. დაგეგმილი საქმიანობა უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
  - როგორც თქვენთვის ცნობილია **შლამსაცავის** მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ რეგულირების სფეროს. პროექტის ფარგლებში **შლამსაცავის** მოწყობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია შლამსაცავის მოწყობა-ექსპლუატაციისა და ფიზიკური მახასიათებლების შესახებ (მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების მითითებით), ხოლო გზმ-ის ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველში ასევე უნდა მიეთითოს კოდექსის შესაბამისი ქვეპუნქტი.
  - გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- ❖ გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სს „აჭარის წყლის ალიანსის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.